პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება

№

ქალაქი ქუთაისი ------ სექტემბერი 2022 წელი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ"

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, „დ.დ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-6 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ---- სექტემბრის №---------- მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ლესელიძის ქუჩა, II შესახვევი, №61-ში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 8461.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობები №1-№3) არსებობის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. არასარასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" მიერ, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა, უზრუნველყოს უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით,
არსებობის ვადით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულების პროექტის

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს და მათი განხორციელების ძირითად ასპექტებს, ასევე განსაზღვრავს ქონებრივი საკითხების რეგულირების სამართლებრივ მექანიზმებს. მოცემული აქტით, მუნიციპალიტეტის ორგანოები უფლებამოსილებათა სათანადო განხორციელების მიზნით, უფლებამოსილი არიან დააფუძნონ და მართონ კერძო სამართლის იურიდიული პირები და ამ მიზნით გადასცენ მათ ქონება, კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია ქალაქ ქუთაისში, ლესელიძის ქუჩა II შესახვევი №61-ში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 8461.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული 390.87 შენობა-ნაგებობით. მიზანშეწონილია, რომ მოცემული ქონება, დატვირთულ იქნეს ფუნქციურად და მოხდეს მისი მიზნობრივი გამოყენება. იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“ აერთიანებს არაერთ სპორტულ დაწესებულებას, რომელთაც ესაჭიროებათ ტერიტორია, როგორც სპორტული ღონისძიებებისათვის მომზადების, ასევე ინვენტარის განთავსებისათვის, ადგილობრივი ხელისუფლება მიიჩნევს, რომ სწორედ ამ მიზნით, მოცემული უძრავი ქონების გადაცემა იურიდიული პირისათვის, იქნება ოპტიმალური გადაწყვეტილება, ქონების მართვის კუთხით.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპაპიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი